# ანტანტის სახელმწიფოთა პაკეტური მიდგომა კავკასიის რეგიონისადმი 1918-1921 წლებში

არჩილ მენთეშაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზექა კობახიძე, ისტორიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

არჩილ მენთეშაშვილი, 22.06.2018

# აბსტრაქტი

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, შეუსწავლელი და მნიშვნელოვანი პერიოდი 1918-1921 წლებს მოიცავს. ამ პერიოდში ქვეყანა პირველად მოხვდა ევროპული დიდი სახელმწიფოების ყურადღების ქვეშ. სწორედ ამ დიდმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს არამარტო საქართველოს, არამედ მთლიანად ამიერკავკასიის ბედი ამ პერიოდში. აღსანიშნავია, მიუხედავად შემადგენელი ქვეყნების განსხვავებული მოწყობისა და პოლიტიკური კურსებისა, ამიერკავკასია განიხილებოდა ერთ, მთლიან რეგიონად. პირველ მსოფლიო ომის შემდგომ ამიერკავკასიაში არსებული რეალობაა საკმაოდ წააგავდა ვითარებას ბალტიისპირეთში. გარდა იმისა, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები ამიერკავკასიის რესპუბლიკების მსგავსად, რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად წარმოიშვნენ, ამ ორი რეგიონის მსგავსება კიდევ უფრო ადვილი დასანახია ანტანტის სახელმწიფოთა მიდგომის ჭრილში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ორივე რეგიონის მიმართ ანტანტის ქვეყნებს თავიანთი ინტერესები გააჩნდათ. ნაშრომი მიზნად ისახავს გაარკვიოს მიზეზები, რის გამოც ანტანტის ქვეყნებმა ვერ შეძლეს კავკასიაში წარმატებული პოლიტიკის გატარება და რეგიონის დაცვა რუსული საფრთხისაგან.

ნაშრომში გამოყენებულია თვისობრივი მეთოდოლოგია. კონტენტ-ანალიზი დაყრდნობილია საქართველოსა და ბრიტანეთის არქივებში დაცულ საარქივო მასალებზე. გამოყენებულია Case Study მეთოდიც.

ჩატარებულმა კვლევამ და წყაროების მიმოხილვის საფუძველზე მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ კავკასიის ქვეყნების ბედი დამოკიდებული იყო არაერთი დიდი სახელმწიფოს სურვილებსა და ქმედებებზე. საბოლოო ჯამში ამ სახელმწიფოთა ქმედებებმა და ზოგიერთ შემთხვევაში უმოქმედობამ, ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს ბოლშევიკთა მიერ ოკუპაცია გამოიწვია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბრიტანეთი, იტალია, რუსეთი, გერმანია, არქივი.

## Abstract

One of the most interesting, unexplored and important periods in the history of Georgia covers 1918-1921. In this period the country first came to the attention of European big states. These great states decided the fate of not only Georgia but also the fate of Transcaucasia in this period. It is noteworthy that despite the different arrangements and political courses of the constituent countries, Transcaucasia was considered as one, whole region. The reality in Transcaucasia after the First World War is quite similar to the situation in the Baltic counries at the same time. In addition to the fact that the Baltic republics, like the Transcaucasian republics, Emerged as a result of the destruction of the Russian Empire, the similarity of these two regions is even easier to find in the context of the approach of the states of the Entente after the First World War. Entente countries had their interests towards both regions.

The purpose of the work is to find out the reasons why the Antarate countries failed to pursue successful policies in the Caucasus and protect the region from Russian threats.

The paper uses a qualitative methodology. Content analysis is based on archival materials stored in archives of Georgia and Britain. Case Study method is also used.

The results of the survey and sources' survey showed that the fate of the Caucasian countries was dependent on the wishes and actions of many large states. Ultimately, the actions of these states and in some cases their inactivity caused the invasion of all three Caucasian states by the Bolsheviks.

Key search keywords: Georgia, Azerbaijan, Armenia, UK, Italy, Russia, Germany, archive.

მსურს მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ბექა კობახიძეს, რომლის სალექციო კურსმაც ინტერესი გამიღვივა აღნიშნული თემატიკის და ზოგადად, მთლიანად პირველი რესპუბლიკის მიმართ.

## სარჩევი

| | |
|---|---|
| შესავალი | 6 |
| სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა | 8 |
| მეთოდოლოგია | 9 |
| გერმანიისა და საქართველოს ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს | 10 |
| ბრიტანეთი კავკასიაში | 14 |
| პრინკიპოს კონფერენცია | 32 |
| იტალიური მანდატი | 34 |
| დასკვნა | 42 |
| ბიბლიოგრაფია | 43 |